სახალხო გაზეთი

№ 643 შაბათი, 7 ივლისი, 1912 წ. № 643

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ, ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედნი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, ჯერსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

აბასთუმანში გარდაიცვალა

ივანე ზურაბის ძე გველესიანი,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ზურაბ და გრიგოლ გველესიანები**, რძლები—**მელანია და ნინა**, შვილიშვილები—**თინათინა, ირაკლი, გიორგი და ლევან.** დასაფლავება ქუთაისში კვირას, 8 ივლისს, გამოსვენება საკუთარ სახლიდან (კაზაკოვსკის შესახვევი). პანაშვიდები ყოველ დღე: შუადღის 12 საათზე და საღ. 8 საათზე. (3—1376—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქშენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანველიშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 1½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკაძე ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე გ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

მჭარეულიშვილი შ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.63)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—73)

ექიმი კ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 6—7. (25.1045.147).

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში 9—3 საათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროლენკოვის ქ. № 20.** (წ.—1022—55)

საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა.
შაბათს, 7 ივლისს,

კონცერტი

მოსკოვის კონსერვატორიაში კურსდასრულებულ **ა—დე—ოლივას** და მილანის ცნობილ პროფესორ **პინალხონთან** კურსდამთავრებული ბარიტონის **ა. გ. შანშიევის** მონაწილეობით.

აგრეთვე სიმფონიური ორკესტრი **ი. პრესმანის ლოტბარობით.**

აკომპანიმენტს მოუწყობს **ქ. ვ. მღვიმეთ-უხუცესი.**

დასაწყისი საღამო 9 საათზე.

თეატრში შესასვლელ ფასი 25 კაპ.

სტუმრებისთვის კლუბში შესასვლელი ფასი: ვაჟები იხდიან 50 კაპ. ქალები, სტუდენტები და საშუალო სასწავლებლის მოწაფენი 25 კ.

ანონსი: ხამშაბათს, 10 ივლისს, სიმფონიური საღამო ბერლინის ოპერის არტისტ-ქალის **ლულუ კესერის** მონაწილეობით. (2—1357 - 2)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზ-გ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ჯავახიშვილი ივ., ქართველ ერის ისტორია წ. I, ფასი 80 კ.
საქართ. ეკონომ. ისტორია . 40 „
ქართ. მეფე და მისი უფლ. ისტ. 15 „
ჯანაშვილი მ. აღვადგინე, ანუ „სამი ისტორ. ქრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორ. სახელმძღვან. 30 „
ნაშრომი I, ... 20 „
„ II, ... 20 „
„ III, ჩემი შენიშვნები რუსთაველის გარშემო. ქართ. ბიბლია. მე-6 საუკ. ტექსტები.
ლექსიკონი . . . . . 20 „
მეფე ერეკლე . . . . . 10 „
საქართველოს ისტორია . 1 მ.
უკვდავთა ღაღადებანი . . 10 „
ფრსადან გორგიჯანიძე და მი- ი შრომანი . . . . 40 „
ქთული მწერლობა, წიგ. II, 80 „
ბრაძე и Д Н. Бердзеновъ. Тифлисъ въ историческомъ и Этнографическомъ отношеніяхъ. 1 მ.
Блокуровъ. Сношенія Россій съ Кавказомъ . . . . 3 მ.
Мтеріялы для исторій Россій 3 მ.
Єнашевъ. Картина Грузій, или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго . . . 25 „
Єліевъ Дзеглисъ-цера . 50 „
Гебашвили. Правда о Тифлисѣ 20 „
Д. святини въ Кахетіи и придѣлы Мцхэтскаго храма . 10 „
Вковая свѣча въ Греко-грузинской церкви . . . . 20 „

ადრესი დეპეშისათვის: Тифлисъ Со распр. Гр. (წ. 1141.69)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 332)

შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება, იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.15). 9

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარ და. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. შოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდ ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთ ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფა რეაქციისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“- (წლ—1018—303).

ექიმი კბილისა აბასთუმანში
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერ მარქაროვისა. (0—1334—1

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
მკურნალო აკადემიის სამშობიარო და სისტაქრო კლინიკების ორდინატორად ნოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სისტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერ ლის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილონებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის. ჭონის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოცერთა ეკონომიურ საზოგ: დოების მაღაზ პირდაპირ.

შარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფ მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით ღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 204)

ქიმი კბილისა და ღრძილებისა
პ. ა. ქაჯაია
ბს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამო 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 დუბე). (თ.—1049—1 6)

ქიმი **ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულ. ავადყ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ქიმი აბასთუმანში
ე. ი. მინასიანცი
ებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერქაროვისა. (წ. 1347.200)

ქიმი **ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. ამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ქიმი **შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე იამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თუმცა მე-4 სათათბიროს არჩევნე- მოახლოებულია, რამდენიმე თვის მდეგ უნდა მოხდეს, მაგრამ ამის- მიუხედავად გაზეთები სავსეა მუ- მ ერთგვარი ცნობით, რომ მომალი სახელმწ. სათათბირო აგრე იგად არ აინტერესებს ამრჩევლე- ს უმრავლესობას, რომ იგი სრუიად გულგრილობით ეკიდება თა- ს მოქალაქობრივ მოვალეობას. გაზეთი „რეჩი“, ამ მოვლენას აღ- მნავს და გაკვირვებული ჰკითხუ- ობს:

„რითი აიხსნება ესა? ნუ თუ იმის მომასწავებელია, რომ ამრჩეველთა მასა შეურიგდა არსებულ ყოფას და დაჰკარგა იმედი არჩევნებისა? შეიძლება მართალი არიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, ქვეყანას მობეზრდა პოლიტიკა და ყოველდღიურ წვრილმანობაში ჩაიფლა. მაგრამ რას ნიშნავს ეს წვრილმანობა? განა იგი პოლიტიკაზე არაა დამოკიდებული? შეიძლება, რასაკვირველია, არ გაინტერესებდეთ ეგრედ წოდებული უმაღლესი პოლიტიკა, მაგრამ საზოგადო კი უეჭველად ყურადღების ღირსია თვით უფართოეს მასისათვის. ამ საკითხს გულგრილად ვერავინ მოეკიდება, მომავალი სათათბირო ადმინისტრაციის მანქანის დამატება იქნება, თუ ხალხის ინტერესების ნამდვილი ქომაგი“.

თუმცა, გაზეთის აზრით, 3 ივნისის საარჩევნო კანონი ვერ არის სრული და სინამდვილის შესაფერი, მაგრამ თუ ამრჩევლები ცოტაოდენ მოქმედების უნარს გამოიჩენენ, ახლაც შეიძლება სასურველი კანდიდატების გაყვანა.

„ყველაზე მეტ დაბრკოლებას განიცდის, თავის მოვალეობის ასრულების დროს, ამრჩეველთა ის კათეგორია, რომელმაც თვითონ უნდა აიღოს ამრჩევლობის მოწმობა და ჩაეწეროს სიაში. ასეთ კათეგორიას ეკუთვნიან მობინადრეები, რომელნიც ბინის ქირას არ იხდიან, პენსიონერები და არჩევნებში მინდობილ ცენზით მონაწილენი.

აი აქ განიცდიან ამრჩევლები ნამდვილ წამებას“.

შეიძლება ეს გარემოებაც იყოს ერთ-ერთი მიზეზთაგანი აღნიშნულ გულგრილობისა, მაგრამ მთავარი მიზეზი კი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. თუმცა არც მე-3 სათათბიროს არჩევნები იყო ამრჩევლების გულმხურვალეობით აღგზნებული, მაგრამ დღეს უარეს მოვლენას ვხედავთ, რაც ნათლად ჰმოწმობს, რომ ამრჩევთა მასამ მართლაც დაჰკარგა სათათბიროს ნდობა და გულგრილადაც ამიტომ ეკიდება თავის მოქალაქობრივ მოვალეობის ასრულებას.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ჩვენი პოეტი იროდიონ ევდოშვილი,** რომელიც ჩორნი იარში (ასტრახნის გუბ.) იყო გადასახლებული, როგორც ამას წინად ვსწერდით ავად არის. იგი ასტრახანში მთავრობის მიერ მოწვეულმა 8 ექიმისაგან შემდგარმა კონსულიუმმა შეამოწმა და მეტად დასუსტებულად იცნო. ამის გამო ევდოშვილს გადასახლების ვადა შეუმცირეს, (ერთის წლით) სრულებით გაანთავისუფლეს, **სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.**

◆ **დ. ზ. სარაჯიშვილის სახსოვრად** რედაქციამ მიიღო მშვენიერს ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი შემდეგის სათაურით; „დავით სარაჯიშვილის სახსოვრად“. წიგნში მოთავსებულია წერილები, რომელიც განსვენებულის შესახებ დაიბეჭდა, ქართულსა, სომხურსა, რუსულსა და უცხოურ პრესაში, წერილები მოთავსებულია როგორც იმ ენაზე, რომელითაც დაწერილი იყო, აგრეთვე მის რუსული თარგმანებიც. ამას გარდა მოთავსებულია წიგნში: დეპეშები, პანაშვიდებზე წარმოთქმული სიტყვები, საგაზეთო ცნობები, შენიშვნები, დასაფლავების წესრიგი, სია გვირგვინებისა და დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები. წიგნს წინ უძღვის განსვენებულის მოღვაწის დ. ზ. სარაჯიშვილის სურათი. ჩართული აქვს აგრეთვე სხვა და სხვა სურათი, რომელიც განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილს პანაშვიდებსა და დაკრძალვის დღეს შეეხება.

◆ **წესიერ დასვენების** ახალ სავალდებულო დადგენილების გამო დღემდე გუბერნატორთან საჩივრები შეიტანეს: მეპურეებმა, ყასბებმა, ცივის სასმელების გამყიდველებმა, კანდიტერებმა, სააფთიაქო სასწყობების პატრონებმა და სხვებმა. დადგენილებათა ზოგიერთ მუხლების გაუქმება ამ ორს დღეშია მოსალოდნელი, რადგანაც გუბერნატორმა ნამესტნიკის თანაშემწის წინაშე უკვე აღძრა შესაფერი შუამდგომლობა. ამას გარდა ქალაქის გამგეობა თავის მხრით არკვევს, რომელი მუხლის აღსრულება არის შეუძლებელი მომავალში.

— ახალ დადგენილებათა ყველა მუხლის გადათვალიერება სექტემბრამდე არ მოხდება, რადგანაც ამ ზაფხულს საბჭოს კრება არ იქნება მოწვეული. შემოდგომამდე ქალაქის გამგეობა შეაგროვებს მასალებს, რომელიც სარჩულად დაედება დადგენილებში ცვლილებათა შეტანას.

◆ **სეირნობა** 5 ივლისს მუშტაიდში საინტერესო სეირნობა გაიმართა სახალხო სახლის ქართულ სათეატრო სექციის სასარგებლოდ. ბაღში შესვლა უფასო იყო. სეირნობას, რომელმაც კარგად ჩაიარა, დიდძალი ხალხი დაესწრო. იყო უფასო პროჟექტორი. აუშვეს შუშხუნები. გამართულ იქმნა სხვა და სხვა სათამაშო. სეირნობის გაგრძელება მოხდება დღესაც, 7 ივლისს იმავ ქართულ სექციის სასარგებლოდ.

◆ **კახეთის რკინის გზის** საქმეთა გამო ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრებიან ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა რწმუნებულნი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და გ. ი. თულაშვილი.

◆ **მირზოევისეულს პაებს**, რომელიც ანდერძით ქალაქის თვითმმართველობას დარჩა, ჰყიდიან, თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა. თვითეულ 500 მანეთიან პაიში ქალაქს 2,400 მანეთს აძლევენ, მაგრამ ქალაქი ამ ფასში არ უთმობს, რადგანაც მეტის ფულის აღების იმედი აქვს.

◆ **ტფ. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს გამოუგზავნა** ყველა ის თხოვნა—საჩივრები, რომელიც მას მისვლია ახალ სავალდებულო დადგენილებათა შესახებ. გუბერნატორი მოურავს წინადადებას აძლევს გამგეობამ დაუყონებლივ გადაათვალიეროს ისინი.

◆ ტფილისში ბოდბისხევიდან ჩამოვიდა იმერეთის **ეპისკოპოსი გიორგი,** რომელიც ბორჯომს მიემგზავრება საავგარაკოდ.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** დღემდე მოსამსახურეთა ცენზიანები ჩაწერილან: რუსულ კურიაში 471, საერთოდ კი 289.

◆ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა** ტავრიდის საგუბერნიო საერობო დაწესებულებას მიმართა თხოვნით, აცნობოს: არის თუ არა ტავრიდის გუბერნიაში სახელოსნო სკოლები, რომელნიც კალათების დამწნელ გამოცდილ ინსტრუქტორებს ამზადებენ, სწავლის ხანგრძლიობა, და ჰყავთ თუ არა ასეთი ინსტრუქტორები. ეს თხოვნა გამოწვეულია იმით, რომ ამ ჟამად ისეთი ინსტრუქტორები, რომელთაც ხილის ჩასაწყობი კალათების დაწვნა შეუსწავლიათ, ძლიერ საჭირო კომიტეტისათვის.

◆ **ცნობილი ბოტანიკი ა. ლოტასევსკი** ამ ჟამად ვარდების შესასწავლად ამიერ კავკასიაში დაიარება. მას მიზნად აქვს ამ მცენარის შესახებ გამოკვლევა მოახდინოს და განსაკუთრებული მონოგრაფია გამოსცეს.

◆ **ტფილისში ჩამოვლენ** მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოწაფენი ბ-ნ მეიტის მეთაურობით, რომელნიც ჩვენ მებაღეობის შესწავლას აპირებენ.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებამ** ქ. ერევნის გუბერნატორისაგან მიიღო 613 მანეთი და 60 კ., რომელიც შემოსულა საზოგადოების სასარგებლოდ იქ გამართულ სეირნობიდან.

◆ **ტფ. ტელეგრაფის ახალ შენობას კვირას, 8 ივლისს აკურთხებენ.** სატელეგრაფო განყოფილება კვირას საღამოსვე გადავა ახალ შენობაში, რომელიც როგორც ვიცით ფოსტა ტელეგრაფის ოლქის სამმართველოსთან იმყოფება.

◆ ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქს ამ ჟამად **რევიზიას უკეთებს** პეტერბურგიდან ჩამოსული საგანგებო საქმეთა მოხელე ბ. ფრანცი. რევიზია ერთ კვირას გასტანს, შემდეგ კი ბ. ფრანცი სარევიზიოდ ქუთაისს გაემგზავრება.

◆ **ტფ. სააფთიაქო საწყობების პატრონებმა** ტფ. გუბერნატორს კოლლექტიური თხოვნით მიჰმართეს, რადგან ახალი სავალდებულო წესების ძალით მაღაზიები 7 საათზე უნდა დავკეტოთ, მცხოვრებნი აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ვინაიდან ჩვენი მაღაზიები სიიაფის გამო განსაკუთრებით მცხოვრებთა ულარიბეს ნაწილს ემსახურებაო. ისინი სთხოვენ გუბერნატორს გადაათვალიეროს დადგენილებათა ის მუხლი, რომელიც მათ ეხება, მანამდე კი ვაჭრობის ნებადამის ათ საათამდე მისცეს.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ** 5 ივლისს მომხდარ კრებაზე განიხილა აპოლონ წულაძის თხოვნა, რომ მიეცეს მას 26 მანეთის იარაღი, რომელიც მას სჭირდება განზრახულ ლექციების დროს საჩვენებლად. საბჭომ პრინციპიალურად გადასწყვიტა ფულის მიცემა, ხოლო იარაღების შეძენა დაავალა ერთ თავის წევრს. შემდეგ კრებამ დაადგინა, მოსთხოვოს სარაიონო აგრონომებს და ინსტრუქტორებს მოქმედების ანგარიშები წარმოადგინონ, რომელნიც საჭიროა დეპარტამენტისა და სათავად-აზნაურო საკრებულოსათვის წარსადგენ ანგარიშის დასამზადებლად; მიეწეროს წევრებს, რომელთაც საკვიტანციო წიგნაკები აქვთ წაღებული, დაუბრუნონ საზოგადოებას წიგნაკები ანგარიში და ჩაწერილ პირთა სია, რათა შეიძლებოდეს წევრთა რაოდენობის გამოკვლევა. ამავე კრებაზე დ. ვ. ვაჩნაძემ აღძრა საკითხი, შეადგინონ ისეთი აღმასრულებელი ბიურო, რომელიც ვალდებული იქნება გამუდმებით იმუშაოს და ამით საქმის წინსვლას ხელი შეუწყოს. საკითხის განხილვა შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

◆ რადგანაც 1913 წლის მარტში მეორე სრულიად რუსეთის **შინა მრეწველობის გამოფენა** მოხდება, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილება შეუდგა შინა-მრეწველობის შესახებ წიგნის შედგენას. მრეწველობის სხვა და სხვა დარგის აღწერა სპეციალისტებს მიენდო. კავკასიის შინამრეწველობა ბევრად განსხვავდება შიდა რუსეთის მრეწველობისაგან, ამიტომ გადაწყვეტილია კავკასიის შინა მრეწველობისათვის წიგნში განსაკუთრებული განყოფილება შეიტანონ, რომლის შედგენა მიენდო ამ საქმის მცოდნეს ბ-ნ ფირალოვს.

◆ **ტფ. გუბერნატორმა თავ. კ. ე. აფხაზის მეუღლეს და თ. გ. ფორაქიშვილისას** ნება დართო 15 ივლისს, ს. კარდანახში (სიღნაღის მაზრა) გრაფ შერმეტევის მამულში სეირნობა გამართონ, რომლის შემოსავალიც იქაურ სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ გადაიდება.

◆ ქალაქის გამგეობამ განიზრახა მოაწყოს ტფილისში **მოძრავი საბანაო.** ამ ჟამად ქალაქის საბანაოთი ყოველ დღეს მხოლოდ 1000 კაცი სარგებლობს და ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებს.

◆ სახალხო გასართობთა ტფილისის საზოგადოების კომიტეტი სთხოვს ვერაზე მცხოვრებთ, რომელთაც თხოვნა შეიტანეს, მალე აღადგინონ ვერის აუდიტორია, მობრძანდნენ კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 8 ივლისს შუადღის 4 საათზე, გადმოსახლებულთა სამმართველოს ეზოში (ოლღას ქუჩა. სახლი № 66.)

◆ კავკასიის **სააბრეშუმო სადგურთან** არსებულ სათეორეტიო-საპრაქტიკო კურსებზე სწავლა 2 ივლისს დასრულდა. გამოცდა სწარმოებდა 3 და 4 ივლისს.

ტფ. გუბერნატორს ქუთ. გუბერნატორმა აცნობა. რომ ამ თვის განმავლობაში ქუთაისიდან გამოემგზავრება ქუთ. ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია მასწავლებელ ნ. ქუთათელაძის მეთაურობით. ისინი შემოივლიან: სურამს, გორს, მცხეთას, ტფილისს, თელავს, სიღნაღს, დუშეთს, თიანეთს და ბორჯომს.

◆ **სახალხო სკოლების დირექტორმა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა** სოფ. ტირძნისისა და ბროწლეთის (გორის მაზრა) მცხოვრებთა დადგენილება, რომლითაც ისინი ს. ტირძნისში პირველდაწყებით სკოლის გახსნას თხოულობენ.

◆ **განსვენებულის ნ. ვ. ღოლობერიძის ანდერძი** ს. სამართლომ უკვე დაამტკიცა. ნაანდერძევი ფული ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა.

◆ ივლისის განმავლობაში ორივე ქალაქის ღამის გასათევ თავ-შესაფარში ყოფილა სულ 291 კაცი.

◆ ქალაქის ლომბარდს ივლისის განმავლობაში დაუგირავებია 30,908 ნივთი, გამოუყიდიათ ამავე ხნის განმავლობაში 27,854.

◆ ქალაქის მუშაობის ბირჟაში ივლისის განმავლობაში მუშაობა უთხოვნია 232 კაცს. აქედან 89 კაცსა და 143 ქალს.

◆ 4 ივლისს, მტკვარში ბანაობის დროს დაირჩო მოქალაქე ვ. მიგელი. 5 ივლისს მნაცაკანის ხიდთან ბანაობდა 13 წლის გიორგი დიღმელოვი. ბანაობის დროს წყალმა ჩაითრია მორევში და ირჩობოდა. მას მიეშველა ხიდზე მიმავალი ზადოევი, რომელიც წყალში ტანისამოსით გადახტა და გადაარჩინა.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ 5 ივლისის კრებაზე დაადგინა:** 1) გააბათილოს ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ჯარის კაცთათვის ბინის მიცემაზე უარი ეთქვა, 2) გადაიდოს განხილვა საბჭოს დადგენილებისა, რომლითაც ვერაზე მელიქ-ასარიანცის მამულში ქუჩა უნდა გაეყვანათ, 3) გააბათილოს საბჭოს დადგენილება, რომლითაც 21 პირს სიღარიბის გამო აპატიეს შესაფასებელი გადასახადი 1647 მან. და 5 კაპ., რადგანაც კანონს გათვალისწინებული არა აქვს ისეთ პირთა სიღარიბე, რომელნიც უძრავი ქონების პატრონებია, და სხვა.

სასამართლო

◆ ამას წინად ქუთაისის **საოლქო სასამართლომ** გაბრიელ გაბაშვილს, რომელსაც კაცის კვლა ბრალდებოდა, ათი წლის კატორღა მიუსაჯა. 3 ივლისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ ქუთაისის საოლქო სასამართლოს დადგენილება გააუქმა და გაბაშვილი გაამართლა. ის ქუთაისის საპყრობილედან 4 ივლისს გაანთავისუფლეს.

ქუთაისი.

◆ ქუთაისის გუბერნატორი აცნობებს ქალაქის თავს, რომ ქუთაისის საბჭოს დადგენილება საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელის აღნიშვნის შესახებ წარუდგინა საგუბერნიო კანცელარიის სამოქალაქო სამართველოს განყოფილებას.

◆ ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას წელს ჩვეულებრივ დიდი საქონელი ჰყოდნია. ხონის ბაზარზე პირველად ამ ამხანაგობას აუწევია პარკის ფასი.

◆ ქუთაისის სასწავლებლებიდან სხვა ქალაქის გიმნაზიებში და სასწავლებლებში გადაიყვანეს: გიმნაზიიდან დირექტორი და ინსპექტორი—რეალურ სასწავლებლიდან გადაიყვანეს დირექტორი ლეონტიევი და ამავე სასწავლებლის ინსპექტორი. დაითხოვეს სამსახურიდან ამდენიმე ქართველი მასწავლებელი ქალი წმ. ნინოს საქალებო გიმნაზიიდან. ამჟამად მოელიან ქუთაისში ახალ დირექტორებს. ინსპექტორებსა და მასწავლებლებს გადაყვანილ და დათხოვნილთა ადგილებზე.

◆ კომისიები, რომლებიც პარკის ყიდვა-გაყიდვის დროს მუშაობდნენ საზოგადო სასწორებზე ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში სამტრედიაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში და სხვაგან თავის მოქმედებას შესწყვეტენ 15 ივლისს.

◆ **ნიკო ნიკოლაძის განზრახვა.** როგორც ვიცით ფოთის ქალაქის ნამოურავალ ბ. ნ. ნიკოლაძეს განზრახული ჰქონდა მოეწყო ქუთაისში ღვინის საწყობი და ყურძნის ყიდვის საქმე. ამჟამად ნიკოლაძე საქმის პრაქტიკულად განხორციელებას შეუდგა.

◆ **თხოვნები.** ქუთაისის სახხო სკოლების დირექციაში აუარელი თხოვნები შედის. თხოულობენ მასწავლებლების ადგილს. თითო თავისუფალ ადგილზე 5 5 თხოვნა მოდის.

◆ ბათუმის რუსული გაზეთის „ბათუმსკია ვესტ-“ის რედაქტორს ბ-ნ გერმანს განზრახვა აქვს გამოსცეს ქუთაისში ყოველ-დღიური რუსული გაზეთი.

◆ სიმინდისა და ფქვილის ფასმა ქუთაისის ბაზარზე ამ უკანასკნელ დროს საგრძნობლად აიწია.

◆ რაჭიდან ქუთაისს დაბრუნდენ მსახიობნი **ქ-ნი შოთაძე და ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.** ამათ სცენის მოყვარეთა დახმარებით დაბა ონში გაუმართავთ ორი წარმოდგენა და ერთი იუმორისტული საღამო. უთამაშნიათ ლეკის ქალი „გულჯავარ“ და „მორევში“. წარმოდგენებსა და საღამოს ონში საკმაოდ დიდი ხალხი დასწრებია. („ჩვენი ცხოვრ.“)

ხონი.

◆ ამ ჟამად ხონში ხუთი პროგიმნაზიული კლასია. როგორც იქიდან გვატყობინებენ-ენკენისთვიდან ხონში გაიხსნება **მეექვსე პროგიმნაზიული კლასი.**

სიღნაღი

◆ შეიპყრეს ერთი ბოროტ-მოქმედთაგანი, რომელთაც ნიკა ჯალიაშვილი გაძარცვეს. იგი აღმოჩნდა აქაური მცხოვრები ნიკო ბეგიაშვილი.

სოფლად

◆ **სოფ. ფშაველი** (თელავის მაზრა) მინდორში იპოვნეს ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიის მედავითნის ვასილ გრელაშვილის გვამი. გვამს რევოლვერის სამი ნატყვიარი აჩნდა, ეჭვი მიიტანეს უცნობზე, რომელთანაც სამი დღის წინეთ გრელაშვილს პირობა დაედო 200 მანეთად ჩემ ადგილს დაგითმობ, მაგრამ მკვლელობის ჩადენის დღეს უარი ეთქვა და ცხენით მინდორში გასულიყო. უცნობის ვინაობა ჯერ ვერ გამოარკვიეს.

◆ **ს. პრიუტი** (ტფილისის მაზრა) როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი გადმოგვცემენ მცენარეებს რაღაც ქიები მოსდებია. ქია თურმე აბრეშუმის ჭიასავით სჭამს ფოთლებს და აფუჭებს მცენარეებს.

ფონდი

იაკობ გოგებაშვილისა.

მივიღეთ საპარიკმახეროების შეგროვებსა და პატრონთა შორის შეგრ.	7 მ. 40 კ.
ერ. კაჰარავასაგან (როგონოდგან)	5 —
სულ	12 მ. 40 კ.
დღევანდლამდე იყო .	495 „ 94 „
სულ ჩვენ რედაქციაში შემოსულია .	508 მ. 34 კ.

საკოოპერაციო მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში

წვრილ კრედიტის საგუბერნიო კომიტეტს 28 ივნისს სხდომა ჰქონია და ნება დაურთავს გახსნას 23 საკოოპერაციო დაწესებულება ქუთაისის გუბერნიის შემდეგ ადგილებში: ზუგდიდის მაზრაში სამი—დორჩელისა, წელენჯიხისა და თვით ზუგდიდისა.

წვრილ კრედიტის ამხანაგობა გაუხსნიათ რაჭის მაზრაშიაც—ამბროლაურში. ძირითადი თანხა ჰქონია 3 ათასი მანეთი და მოკლევადიანი 3 ათასი მანეთი. ამავე წესით ნება დაურთავათ გახსნან სოფ. წესსა, ბუგეულსა, წკალისსა და აგარში, ლეჩხუმის მაზრაში—წიფერში. სენაკის მაზრაში გაუხსნიათ: ნაქალაქევში, მარანსა, კეხვისა და სალხინოში. ოზურგეთის მაზრაში გაუხსნიათ: ბუკისციხესა, ციხისპირსა, ბერეჟოულსა და ცხემლისხითში. ქუთაისის მაზრაში: სამტრედიასა და საპაიჭოში. შორაპნის მაზრაში; ქორეთსა, პერევისას, და ბოსლევ-დილიკაურში.

ამ ბოლოს დროებში ძალიან გაზრდილა საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი. 1911 წლის პირველ იანვარს მხოლოდ ერთი შემნახველი კასა ყოფილა და 1912 წლის პირველ იანვარს კი უკვე ათი: ქუთაისისა, იანეთისა, კულაშისა, ყვირილისა, ხარაგოულისა, თერჯოლისა, კარბოულისა, ონისა, სადმელისა და ჭრებალოსი, მათი ბალანსი შეადგენდა 74979 მანეთსა და 57 კაპეიკს.

საკრედიტო დაწესებულებათა გახსნას სვანეთშიაც აპირებენ. იქ სულ 12 საზოგადოებაა. 2—4 საზოგადოებას შეაერთებენ და ისე გახსნიან თითო საკრედიტო დაწესებულებას.

გორის ქართველ გამომცემელ ამხანაგობის დამაარსებელთა საგანგებო კრება.

ოთხშაბათს, 4 მკათათვეს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა გორის ქართველ გამომცემელ ამხანაგობის და გაზეთ „ქართლი“-ს დამაარსებელთა საგანგებო კრება. განსახილველი იყო: დამტკიცება ამხანაგობის წესდებისა, საკუთარი ელექტრომბეჭდავის შეძენის საკითხი, „ქართლის“ ნივთიერად უზრუნველყოფა და სხვა.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე—კერძო ვექილის **ი. ნატროშვილის** თავმჯდომარეობით. პირველ რიგზე წამოყენებულია ამხანაგობის წესდების განხილვა და დამტკიცება. ზ. ქიტაშვილი განმარტავს ამხანაგობის მიზანს, შემდეგ კითხულობს წესდებას და დასძენს-წესდება, როგორც მიღებულია, რუსულად არის დაწერილი, ამიტომ მუხლობრივ განხილვის დროს კამათი რუსულად იქნება (თითქოს არ შეიძლებოდა რუსულად დაწერილ წესდების მუხლობრივ განხილვის დროს მსჯელობა ქართულად ყოფილიყო! ს.გ.) წესდების განხილვის დროს ჩერდებიან და დიდხანსაც კამათობენ რამდენიმე საკითხზე, მაგალ. აქვს თუ არა ხმა ამხანაგობის წევრს, რომელსაც საპაიო ფული გახსაზღვრულ ვადამდე არ შემოუტანია. წესდება მას ხმას ართმევს. ი. ცინცაძის წინადადებით კი ეს პარაგრაფი უარჰყვეს და მიიღეს ახალი, რომლითაც ხმა არ ეკარგება ხსენებულ წევრს ამხანაგობისას, თუნდაც მას საპაიო ფული სრულადაც არ ჰქონდეს გადახდილი და სხვ. [illegible] შესწორების შემდეგ წესდება ერთხმად მიღებულ [illegible]. გადადიან საკუთარ ელექტრომბეჭდავის მოწყობის საკითხზე.

ი. ცინცაძე. როდესაც ამას წინად კრება იყო, გადასწყვიტეს გამოსცენ გორში გაზეთი. იყო ერთი ჯგუფი, რომელსაც აზრად ჰქონდა მოეწყოთ სტამბა. გაზეთი უკვე გვაქვს, საჭიროა მას უეჭველად გაუხსნათ სტამბა, უამისოდ საქმის გაძღოლა ძნელია.

თავმჯდომარე აყენებს საკითხს—საჭიროა თუ არა ჩვენი გაზეთისათვის საკუთარი სტამბა, თუ საჭიროა როდის შევიძინოთ, ან რა სახსრით?

ამ საკითხზე პირველად ლაპარაკობს **ი. ცინცაძე.** იგი ამბობს—ორი კვირის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სტამბა აუცილებლად საჭიროა. 24 ივნისს დაიბეჭდა 400 ცალი გაზეთისა. მცირე ხანში მოთხოვნილება გაიზარდა, გვთხოვენ აქეთ-იქიდან გაზეთს ჩვენ კი განსაზღვრულ რიცხვის მეტი არ შეგვიძლიან დავბეჭდოთ. თუ საბეჭდავ მანქანას ვერ შევიძენთ, გაზეთი უნდა დაიკეტოს.

ცინცაძის საპასუხოდ ლაპარაკობს **ზ. ქიტიშვილი.** ცინცაძეო, იწყობს იგი, აქ ლაპარაკობს როგორც რედაქტორი, როგორც გაზეთის ინტერესების დამცველი, მე კი საკითხს სხვანაირად შევეხები, როგორც წევრი საზოგადოებისა. ჩვენს ამხანაგებს აზრად აქვს არა ქველმოქმედება, არამედ კომერცია. მართალია ამხანაგობა გამოსცემს წიგნებს, ბროშურებს, დაეხმარება გაზეთს და სხვა, მაგრამ ყველა ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ დაგვრჩეს რამეო. შემდეგ შეეხო საკითხს—საჭიროა თუ არა საკუთარ სტამბის მოწყობა. საჭიროაო, სთქვა მან და აი რატომაო: წინადაც მოგახსენეთ და ახლაც გეტყვით, თუმცა მაშინ ჩემი სიტყვები ცოტა სხვანაირად გადასცეს „სახალხო გაზეთსა“ (მოვახსენებ ბ. ქიტიაშვილს, რომ მისი სიტყვები სწორედ იქმნა მაშინ გადაცემული, და თუ შემდეგ თვისი ნათქვამი რაიმე მიზეზით არ მოეწონა, ეს ჩვენი საქმე არ არის. ს—გ.) გორის მაზრაში ექვსი მომრიგებელი შუამავალია, ამათ აუარებელი საქმე აქვთ, ბლომად აქვს აგრეთვე საქმეები ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკს, ქალაქის გამგეობას, მიდით ზედ მთავრობის დაწესებულებანი და კერძო საქმეები. შემოსავალი შეადგენს არა ნაკლებ 1000 თუმანს. თუ იტყვით—აგრე რომ იყვეს საქმე, აქამდის კალანდაძე და მაჭავარიანი ფულით აივსებოდნენო,—მოგახსენებთ, რომ მართალია, მაგრამ იმათი სტამბები რა სტამბებია. სადარბაზო ბარათი რომ დაამბეჭდინოთ თავს უნდა ადგეთ. რაკი სტამბა არ არის, ყველას

ნიცშეს ზეკაცი

ლიხტენბერჟეს განმარტებით.

(დასასრული *)

ომი, პირდაპირი ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე ძალისა, ნიცშეს აზრით პროგრესის ყოვლად ძლიერი აზარმაცი: იგი გამოაშკარავებს ვის მხარეზე არის ძალა და ვის მხარეზე არის სისუსტე. სად არის ჯანმრთელობა—როგორც ფიზიკური, ეგრევე სულიერი და სად ავადმყოფობა. ომი იმ სახიფათო „ცდათა“ რიცხვში შედის, რომელსაც ბრძენი უწინასწარმეტყველებს პროგრესის წასამართად.

ომი თავის-თავად კარგია და სასარგებლო.

აი, ამიტომაც ნიცშე წარბშეუხრელად და უწყალო რიხით უწინასწარმეტყველებს მთელს ევროპას უდიდეს ომიანობის მოახლოვებას. უწინასწარმეტყველებს ბრძოლას ყოველ ნაციათა შორის მსოფლიო სახელმწიფოს დასამყარებლად.

ძველ მცნებათა საწინააღმდეგოდ, სადაც შებრალება პირველ ადგილზეა წამოყენებული, ნიცშე პირველ ადგილს ნებას უთმობს. „აი, ძმანო, ახალი მცნება, რომელსაც თქვენზედა ვღაღადებ: იყავით მკვიდრნი! (Werdet hart)“. მართლაც და საჭიროა ჰქონდეს სიმაგრე ალმასისა, სიმკვიდრე მოქანდაკის კვეთისა. იმას, ვისაცა ჰსურს იყოს შემოქმედი, ვისაცა ჰსურს თავის ნებაზე ჩამოაყალიბოს უსახო ლოდი ბედისა, ვისაცა ჰსურს დაამყაროს ახალი ღირებულება. ვისაცა ჰსურს მოზიდოს ვითარცა ცომი თვითნება მომავალ კაცობრიობისა და ადამიანთა გულში ცით თუჯის დაფაზე წარუშლელად აღბეჭდოს ბრძანება თუ სჯულდება თავის საკუთარ ნებისა. ამგვარ ადამიანისათვის შებრალება მისი სათნოება კი არ იქნება, არამედ უდიდესი შეცდომა და უდიდესი ხიფათი.

ზარათუსტრას „უკანასკნელი ცოდვა“ და ყველაზე საშინელი სასჯელი, რომელიც მას წილად ჰვდება,—ეს მასთან შებრალების კარზე მიდგომაა. მის მწვერვალამდის, მის გამოქვაბულამდის აღწევს გულსაკლავი მოწოდება და მუდარა „მაღალ ადამიანთა“.

„მოვედ, მოვედ“! ჰღაღადებენ ისინი—მოვედ! უკვე ჟამი არს მოსვლისა!“ უკეთუ ზარათუსტრა მათ შეიბრალებს ან და გული მოულბება მათის ტანჯვის დანახვით, იგი დაიღუპება, დამარცხდება. მისთვის საჭიროდ ჰხდება ყოველი ღონე მოიკრიბოს, რათა ამ შეცოდების ქსელში არ გაებას. როდესაც თავის სამფლობელოში ეძებს იმ უბედურთ, რომელთა კვნესაც მის ყურამდე აღწევს, იგი დარდს ეძლევა. ირგვლივ არემარე თითქოს სიკვდილის სამეფო იყოს. ირგვლივ მხოლოდ წითელი და შავი კლდენი აღიმართებიან. არცა მცენარე, არცა ხეხილი, არცა ფრინველთ ხმა! ეს ის ადგილი იყო, რომელსაც ყოველი პირუტყვი თუ სულდგმული განურბოდა. თვით მტაცებელნიც კი განურბოდნენ, მხოლოდ ერთი ჯურის გველნი—საზიზღარნი, მომსხონი, მწვანენი და დაზერებულნი—აქ მოცურავდნენ, რათა მომკვდარიყვნენ. ამიტომაც მწყემსნი ამ ადგილს „გველთა სიკვდილს“ უწოდებდნენ. ზარათუსტრამ ამ ადგილში გზაზედ დაინახა რაც არსება, რომლის სახელის გაგონებაც კი საძნელო იყო; რაღაც საშინელი, არა ადამიანურ შეულობისა.

ზარათუსტრას შეჰრცხვა, როსეთი სიმახინჯე ჰნახა, ის იყო ზგი უნდა შეექცივნა და გაქცეულყო, რომ ამ დროს ხმა მოესმა, შემაძრწუნებელი, როგორც სუქვა მომაკვდავისა: „ზარათუსტრა! ზარათუსტრა! ახსენ ჩემი გამოცანა! მიპასუხე, მიპასუხე, მიპასუხე! რა არის—**შურის ძიება** მოწმესადმი? თუ ხარ, ვინა ვარ?“

მისის თანამოწმობით სულ-შეხუთული ზარათუსტრა დედამიწაზე ეცა,—როგორადაც მუხა, რომიც დიდი ხანი იტანს ცულის დაკრას, შემდეგ უცბად გადაეშვება და ორთანს მოადენს, ასე რომ თავდაცემით იმათაც კი შეაშინებს, რომელნიც მას სჭრიდნენ.—მაგრამ შემდეგ ზარათუსტრა წამოდგა, ლოში აიმარჯა და შეუბრალებლით აღსავსემ სთქვა: კარგად გცნობ—მისი ხმა რკალივით იიალებდა, შენ **ღმერთის მკვლელი** ხარ. გზიდგან ჩამომეცალე. შენსი არსებობა ვერ აიტანე, ვინც გხედავდა, ვინც მარად განგჭვრეტ—ყველაზე უმახინჯესს კაცთა შის. შენ ამ მოწმეს მიმართ შური ი“.

ამ გვარად ზარათუსტრა გამარჯვებული დარჩა იმ განცდის დროს, რომელი განცდაც ღმერთმაც ვერ აიტანა და დაიღუპა: სიყვარის ღმერთი მოკვდა—სული ამოხდა შებრალების გამო, რადგან დახა ყოველი იარა და სიმახინჯე. სხვილს მოკლებული მისი შებრალება ყველგან შეიჭრა—ბნელსა და ბინძურ ადამიანთა სულის ჯურღმულებში და იგი მოკვდა, რადგანაც ადამიანისთვის აუტანელი გახდა თავის გახრწნილების მხილებლად ამ გვარ მოწმის ყოლა.

ზარათუსტრას კი, წინააღმდეგ, სირცხვილისგან სისხლი აუვარდა, როდესაც შემთხვევით დაინახა ადამიანის ესრეთი სიმახინჯე, მას ჰსურდა თვალი მოერიდებინა, გვერდზე აეარნა, რადგან იცოდა: თავის გზით საკუთარ მიზნისკენ წასვლა უფრო სანაქებოა, ვიდრე ის, რომ მოიშხამოს სიცოცხლე და დაიღუპოს იმ უბედურებასთან ბრძოლის დროს, რომელ უბედურობასაც აღარა ეშველება რა.

მან ამით არა მარტო თავის თავი იხსნა სიკვდილისგან, არამედ „ადამთა შორის მახინჯთა მახინჯის“ სიყვარულიც კი დაიმსახურა.

თავშეკავებით მან დაამტკიცა პატივისცემა — უდიდეს უბედურობისა და უდიდეს სიმახინჯესადმი, რომელიც მან ჰნახა იხსნა იგი იმით, რომ თავისი შებრალება არ გამოამჟღავნა, არ იგრძნო. და ის „მახინჯთა მახინჯი ადამთა შორის“, რომელმაც ღმერთი შეიძულა და რომელიც ყველა გულშემატკივართადმი ზიზღსა ჰგრძნობდა, ზარათუსტრას სიმტკიცის წინაშე ქედს იხრის და თანახმაა მას ესტუმროს.

ამგვარად ნიცშეს აზრით ბრძენი უნდა იყოს მტკიცე, შეურყეველი, ხასიათით მაგარი, სასტიკი როგორც სხვათა მიმართ, ის საკუთარ თავის წინაშეც. მან უნდა უარჰყოს პირადი კეთილდღეობა, უნდა უარჰყოს, რასაც კი მშვიდობა და მყუდროება მოაქვს. მან ხომ უწყის, არ არსებობს ისეთი განსაზღვრული, წინასწარ ჩამოყალიბებული მიზანი, რომლისადმი მისწრაფებაც განათლების საშუალებით კაცობრიობას თავს ედვას, პირიქით, ყველაფერი დაუდგრომელ გარდაქმნის პროცესში იმყოფება, ყველაფერი ცხოვრებაში „შეუჩერებლად თავის თავს აღემატება“. მან კარგად იცის,—ადამიანმა არ უნდა იქოს თავი, თითქოს ნავთსაყუდარს მიაღწია, თითქოს თავსაფარი უკვე აღმოაჩინა. ყოველი მყუდროება უნდა იქმნეს მხოლოდ მომზადება, მხოლოდ „საშუალება ახალ ბრძოლისათვის“, იცის აგრეთვე, რომ არსებობა თავის თავ-გადასავლით თუ საგმირო საქმეებით მარად ერთი ერთმანეთზე სახიფათო მოვლენად დარჩება. ბედნიერებას კი არ ეძებს თავის თავისთვის, არამედ ღელვას. მან იცის, რომ სიხარული და მწუხარება მარად განუყოფლად იარებიან. ადამიანს შეუძლიან იმ მიზანს მიაღწიოს, რომ არც დიდი მწუხარება განიცადოს და არც დიდი სიხარული, თუმცა თავისი ცხოვრება დალეული კი ჰქონდეს.

ვისაც სწყურს იცოდეს თუ რას ჰნიშნავს დიდი სიხარული, მან საბედისწეროდ უნდა იგემოს დიდი მწუხარება. აღმართს დაღმართი მოსდევს. ძალთა-თანასწორობის ისრის ყოველი გადახრა ცალ-მხარეზე მუდამ მოწინააღმდეგე გადმოხრასაც იწვევს. „ღირებულობის შემოქმედი“, სიცოცხლის მორწმუნე, ვისაც ჰსურს სიცოცხლე ინტენსივობით და ძალით აღსავსე მიმდინარეობდეს, მან მით უმეტეს უნდა მოისურვოს მეტად ძლიერი ღელვა, მეტად ძლიერი გადახრა-გადმოხრა ცხოვრების სასწორისა. მან უნდა იგემოს უმაღლესი მწვერვალი როგორც ბედნიერებისა, ეგრევე ტანჯვა-წამებისა; უნდა იგემოს დატკბობა დაგვირგვინებულ გამარჯვებისა და შიში საზარელ დამარცხებისა. იგი ერთსა და იმავე დროს პირისპირ ეჩეჩება უმაღლეს ტანჯვას და უმაღლეს იმედს, თითქოს, ერთსა და იმავე დროს მოელოდეს დაღუპვაც და გამარჯვებაც. ზარათუსტრა სწორედ იმ დროს კვდება, როდესაც მიაღწევს თავის არსებობის უმაღლეს მწვერვალს. ზეკაცი! აი, ვინ იქმნება უმაღლესი ძლევა-ზეიმი და ადამიანის დასასრული!

ბრძენმა, ანუ ზეკაცმა საკუთარ თავისადმი სასტიკმა, რომელსაც არ ეშინიან არავითარ ტანჯვისა,—სადაც კი საჭიროდ დაინახავს სხვათა მიმართაც უნდა სისასტიკე და სიმკაცრე გამოიჩინოს. არის იმგვარი უბედურება, რომლის შემსუბუქება დიდი დანაშაულია.

არიან იმგვარნი უბედურნი, ცხოვრებიდგან გარიყულნი, გადაგვარებული წარმომადგენელნი კაცობრიობის მოდგმისა, რომელთ დაღუპვასაც კაცმა ხელი უნდა შეუწყოს და სიცოცხლე მოუსწრაფოს. ზარათუსტრა ამბობს: ყოველგან მათი ხმა ისმის, რომელნიც სიკვდილს ჰქადაგებენ, სოფელი კი სავსეა იმგვარ ადამიანებით, რომელთათვისაც „საჭიროა სიკვდილის ქადაგება... ან და ქადაგება „უკვდავ ცხოვრებისა“: ეს ჩემთვის სულ ერთია, თუ კი ამით არ აგვიანებენ ამგვარ ადამიანების იქით გამგზავრებას!“ ყველა პესიმისტთ, ყველა სასოწარკვეთილთ, მოწუწუნეთ, გულის შემტკივართ, ყველა ჯურის ასკეტებს, ყველა მათ, რომელნიც დედამიწაზე და-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 642.

ტფილისში მიაქვს სამუშაო. ჩვენ რომ სტამბა გვექნება რიგიანი, ყველა ეს სამუშაო აქვე დატრიალდება და კომერციულად დაყენებული სტამბა სარფას მოგვცემს. გაზეთისთვისაც შეღავათი იქნება. გაზეთი თუ დონეზე დადგა, თავის ხარჯს დაჰფარავს. ეხლა კი ვერ დაგვიბეჭდია იმდენი, რამდენიც საჭიროა, თუმცა მოთხოვნილება არის, მაგალ., ბორჯომიდან ამდენსა და ამდენს თხოულობენ, მაგრამ ჩვენ ვერ ვუგზავნით. უფულობაც დიდად გვიშლის ხელს. ფული რომ ხელში გვქონდეს პატარა ხარჯებს, მაგალ., ფოსტის საკითხს, პირდაპირ გავუძლვებოდით და იმდენი გასავალი აღარ გვექნებოდა.

თავმჯდომარე აყენებს გადასაწყვეტად საკითხს: შეიძლება თუ არა საბეჭდავი მანქანის შეძენა. როდის შევიძინოთ ან რა სახსრით?

გ. გოგიაშვილი მოითხოვს შეატყობინონ ხალხს—რამდენია „პაიშჩიკი“ და რა დაჯდება მანქანა.

ქიტიაშვილი უპასუხებს, რომ როგორც შენ იცი ეგ, ისე ჩვენ. სიის მიხედვით 60 „პაიშჩიკია“, მაგრამ დანამდვილებით იმის თქმა—რამდენი შემოიტანს საპაიო ფულს, არ შეგვიძლია. სურვილი სხვაა, ბატონებო, და საქმე სხვაა.

ი. ცინცაძე აცხადებს, რომ ასოები შეიძინეს 400 მან. ჯერ-ჯერობით ეს საკმარისია, ხოლო როცა გაზეთი ყოველ-დღიურად გადაკეთდება, მაშინ კიდევ დასჭირდება 300 მანეთისა. მანქანის შეძენის პირობები სხვა და სხვა ფირმისაგან გვაქვს მიღებული. მანქანას გვითმობენ 2900 მან. იმ პირობით, რომ მესამედი ეხლავე გადავიხადოთ და დანარჩენი თვე და თვე, როგორც ამას ჩვენთვის უფრო სასარგებლოდ დავინახავთ. გვწენ, თქვენი პირობებიც შეგვატყობინეთო, ალბად უნდათ ჩვენს პირობებს ანგარიში გაუწიონ. ჩვენ რომ მეოთხედი, ეხლა გადავიხადოთ, დანარჩენს ნაწილ-ნაწილ ადვილად გადვიხდით.

თავმჯდომარე კითხვას აძლევს ბ. ცინცაძეს—შემოდის რამე თუ არა გაზეთიდანო.

ი. ცინცაძე უპასუხებს, რომ პირიქით კერძო კაცების ფული დაიხარჯა ზედაო.

დ. მაჭავარიანი. რახან სტამბას მოვაწყობთ და კერძო სამუშაოც გვექნება, რუსული შრიფტიც დაგვჭირდებაო. ამისთანა საქმეებს ჩვენი კრება ვერ გადავსწყვეტსო და წინადადება შეაქვს—საქმის რიგიანად მოსაგვარებლად ეხლავე ამოვირჩიოთ გამგეობა, მდივანი, ხაზინადარი და სხვ. თუ საკმაო ხალხი არ არის აქ, მახლობელ დროისათვის დავნიშნოთ კრება და მაშინ ამოვირჩიოთ საჭირო პირნი, რომ საქმეს შეუდგნენო.

ა. მთვარელიძე შენიშნავს, რომ მთელი ლაპარაკი აქ მატერიალურ მხარეზეა, იდეალურ მხარეზე კი კრინტს არავინ ჰძრავს. რომ კარგი მწერლები შევიძინოთ, რომ საქმე გაგვიფართოვდეს, „ქართლი“ აგვიყვავდეს, საჭიროა მოგებაზე სულაც ხელი ავიღოთო.

მ. ციციშვილი მოითხოვს ეხლავე გამოირკვეს ნამდვილ წევრთა რიცხვი, იქნება 60-ს მაგიერ 30-მაც არ შემოიტანოს საპაიო ფული, გაზეთი კი გაჭირვებულ მდგომარეობაშია და დახანება არ შეიძლებაო.

თავმჯდომარე უპასუხებს მოლაპარაკეს და ამბობს—ეს 60 წევრი რი უკვე არის. მე მგონია არც ერთი მათგანი უკან არ დადგება და საწევრო ფულს შემოიტანს. ნახევარმა რომ ფული სრულად შემოიტანოს, ნახევარმაც თითო თუმანი, მაშინ ას თუმნამდე გვექნება, ამ ფულით კი საქმეებს ცოტა არის მაინც მოვაგვარებთ. ხომ იცით, თუ საქმე არ მოვიჭირვეთ ისე არ იქნება. კომისიის ამორჩევის წინააღმდეგიც არა ვარ—იქნება მან სახსრის სხვა რომ გზა მაინც გამონახოსო.

ზ. ქიტიაშვილი წინააღმდეგია მაჭავარიანის წინადადებისა—თანამდებობის პირნი ავირჩიოთ. ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს, ეს ნამდვილ წევრთა საქმეა, იქნება უმეტესობა ჩვენგანი ნამდვილ წევრად არ ჩაეწეროს. დროებითი კომისიის ამორჩევა კი საჭიროდ მიმაჩნია. მან უნდა გამონახოს სახსარი. „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო“. ვისაც საქმისთვის გული შესტკივა ის ფულის გამოღებასაც არ დაიშურებს, ხოლო თუ საქმე'ს კარგი პირი არ გამოუჩნდება, სჯობს ეხლავე ჩავშალოთ დაუწყობელი საქმე, ვიდრე დაწყებულიო.

ი. ცინცაძე გაცხარებულია ქიტიაშვილის ნალაპარაკევით. საქმე უკვე დაწყებულია, გაზეთი გამოდის გორის გამოც. ამხან. სახელითაო, ამბობს იგი. მე უფლება არა მქონდა გაზეთი გამომეცა ჩემის ნებით, მე მხოლოდ ავიღე სათანადო მთავრობისაგან ნებართვა. ერთი ჯგუფი იყო აქ, რომელიც სულით და გულით მზად იყო საქმის სამსახურისთვის. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ შევცდი, ავჩქარდი. მოპირდაპირე მხარე ყოველ ღონეს ხმარობდა საქმე ჩაეშალა, დღესაც გვკბენენ, მტრულად გვეკიდებიან ყველა დაბრკოლება დავძლიე, გაზეთი გამოვეცი. წინად 400 იბეჭდებოდა, ეხლა გვთხოვენ ათასს. მომეცით საშუალება და მე მცირე ხანში 1500-მდეც ავიყვან, თუ არა და გაზეთი დაიხურება და ეს თქვენი სირცხვილი იქნება, მე კი ამ გაზეთს აქ არა სხვაგან გადავიტან, საზოგადოების წინაშე მოვიხდი ბოდიშს, ასოთ ამწყობთაც, როგორც მომიყვანია, ისევე მე გავისტუმრებო.

ამის შემდეგ ცხარე კამათი იმართება ბ. ცინცაძისა და ქიტიაშვილის შორის. პირველი მოითხოვს—ნუ შეურაცხმყოფთ მე, როგორც რედაქტორს, საქმე დავიწყე, სახსრის გამონახვა თქვენი საქმეაო. ამასთან მოითხოვს სახსარი ეხლავ გამონახეთ, რადგან ასოთ-ამწყობნი ფულს თხოულობენო.

ქიტიაშვილი მას უმტკიცებს, რომ თქვენი მოთხოვნა უკანონოა, ჩვენ არავითარი იურიდიული, არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს კრიჭაში ჩავუდგეთ ამხანაგობის წევრთ და მოვთხოვოთ ჩქარა ფულიო. მეტი წილი იქნება ამხანაგად იმიტომ შემოდის, რომ რამე სარგებლობა ნახოს, თქვენი გაზეთი სრულიადაც არ აინტერესებს, და თუ საქმე არ დაინახეს მათ, ფულს რისთვის გამოიღებენო.

კამათში ერევა **დ. მაჭავარიანი**, რომელიც განმარტავს, რომ თანამდებობის პირთა ამორჩევა იმიტომ არის საჭირო, რომ საქმეს იურიდილი ელფერი მივცეთ. ეხლა კი არ არიან გარკვეულნი პირნი, რომელნიც საქმეს გაუძღვებიანო.

დიდხანს ლაპარაკობს **დუტუ მეგრელიც**. იგი აღნიშნავს, რომ, საქმის მდგომარეობის გასათვალისწინებლად საჭიროა ვიცოდეთ რა დაიხარჯა გაზეთზე, რა შემოვიდა, რამდენად ჰფარავს იგი ხარჯს, საჭიროა ამოვირჩიოთ დროებითი კომისია, რომელიც განიხილავს სტამბის მოწყობის საკითხს, გაზეთის ნივთიერად უზრუნველყოფას და სხვ. და თვის მოსაზრებათ წარმოადგენს მომავალ კრებაზეო.

ი. ცინცაძე უპასუხებს, რომ დახარჯულია 200 მან. ამხანაგობისა, 220 მან, კერძო პირებისა. ასოთამწყობთ ეძლევათ თვეში 105 მან., ბინისა 15 მან. გაზეთის ქაღალდი თვეში 28 მან. დანარჩენ წვრილ ხარჯთა ნუსხის წარმოდგენას იგი დაჰპირდა კრებას მომავალ კვირისთვის. კრება დაიშალა ღამის 11 საათზე. კრების გაგრძელება და საკითხთა საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდო კვირისთვის, 8 ივლისისთვის, ამ დღეს კრება გაიხსნება ქალაქის გამგეობის სადგომშივე დილის 11 საათზე. იმედია დაინტერესებული პირნი ბლომად დაესწრებიან მას და საჭირ-ბოროტო საკითხებს ასე თუ ისე გადასწყვეტენ საბოლოოდ.

სან-განიძე.

ქართლის ავ-კარგი

ქართლში, დიდი ლიახვის მარჯვნივ მხარეს სწავლა განათლება ცოტ-ცოტათ ფეხს იკიდებს, თუმცა ზოგან ისევ ისე გაიძახიან „სწავლა რას მოგვიტანსო“, მაგრამ ბევრგან შეგნებულად დაუწყეს ცქერა მომავალს და სწავლა განათლებისკენ ისწრაფიან. თითქმის ყველა დიდი ლიახვის მარჯვენა მხრას სოფლებში სკოლები არსებობს. წელს იანვრიდგან გაიხსნა სამინისტროს სკოლები ს. ქურთაში, ზემო-ნიქოზში, და ზემო-ხვათში, სოფელ ცხინვალში ხომ დიდი ხანია რაც არსებობს რამდენიმე სკოლა. სოფელ ქვემო-ხვითში, ფხვენისში, შინდისში, და საქაშეთში კარგა ხანია რაც სამრევლო სკოლებია გახსნილი. სოფ. ვარიანში, რასაკვირველია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მალე გახსნის სკოლას ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის ანდერძისამებრ, რომელმაც ამ საზოგადოებას ბლომად აღმოუჩინა ქონებრივი შემწეობა. იაკობ გოგებაშვილს ამ სკოლის დაარსებით დიდიხნის სურვილი შეუსრულდება; მაგრამ საქმე სკოლების გამრავლებაში როდია; საქმე იმაშია, როგორი მასწავლებლები გვყავნან, ან როგორ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ამ მიმდინარე წელს რამდენიმე სოფლის სასწავლებელში დავესწარი გამოცდაზე, მაგალითათ: სოფელ ქვემო-ხვითის სკოლაში, სადაც სამი წელიწადია რაც სკოლა არსებობს, ბავშვები იმდენად განვითარებულნი და მომზადებულნი იყვნენ ყველა საგნებში და განსაკუთრებით ქართულში, რომ მაყურებელნი გაცვიფრებაში იყვნენ. ამ ბავშვების ნაწერი-თხზულებანი, მათი ზედმიწევნით საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის ცოდნა განუსაზღვრელ სიხარულს აგრძნობინებს ადამიანს. არ არის არცერთი ჩვენი მწერალი, რომ მათი ბიოგრაფია და თხზულებანი არ ჰქონდეთ შესწავლილი. ჩვენი გამოჩენილი მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალება რომ შეიტყეს, იმდენად ნათლად ჰქონდა. ამ ბავშვებს, მისი მოღვაწეობა შესწავლილი და გათვალისწინებული, რომ ტირილი მორთეს, მასწავლებელმა ძლივს დააშვიდა.

ამ სკოლის მასწავლებელი ნატალია უნაფქოშვილი შარშან თავის ხარჯით წავიდა ქალ. ტფილისს, დიდის წვალებით შევიდა, სამინისტროსაგან მოწყობილ კურსებზე, დაჰყო იქ ზაფხული, შეისწავლა კარგად კალათების წვნა და წელს თავის შეგირდებს შეასწავლა ეს ხელობა. ვერ წარმოიდგენთ რა სიხარულს ეძლეოდნენ პატარა ბავშვები, როცა თავიანთ ხელით ნაშრომს, მშვენიერ სკივრებს, პატარა ყუთებს და კალათებს დასცქეროდნენ. ცოტა დაბრკოლება იმაში ყოფილა, რომ ყველა ხელსაწყო და მასალა არ ჰქონიათ, თუმცა ბევრი საჭირო იარაღი უყიდა ილია მაჭავარიანმა, რომლის თაოსნობით და შემწეობით არსებობს ქვემო-ხვითის სკოლა, მაგრამ ერთი ხელ-მოკლე კაცი რას გახდება ამ რთულ საქმეში.

ნატ. უნაფქოშვილისამ წარსულ წელს მისცა თხოვნა გორის სამრევლო სკოლების განყოფილების გამგეობას, რათა აღმოეჩინათ დახმარება იარაღით კალათების წვნისთვის, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. წელს, მაისის გასულს სწავლის შეწყვეტის შემდეგ ნ. უნაფქოშვილისამ თავის შეგირდებს გაამართვინა წარმოდგენა. დასდგეს „დედა და შვილი“ ილ. ჭავჭავაძისა, „მღვდლის საუბარი გლეხებთან, გლახის ნაამბობი“-დან ი. ჭავჭავაძისა და „გამარჯვებული“ თარგმანი.

წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო, სხვათა შორის დაესწრო შემთხვევით ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ინსტრუკტორი გ. ნახუცრიშვილი. 12 წლის სონა ლაცაბიძემ დედის ხელში ისე მშვენივრათ დახასიათა დედის მწუხარება და თავგანწირულება სამშობლოსადმი, რომ ბევრს ტირილი აუვარდა. მშვენივრათ ჩაატარა აგრეთვე ფეფე მეგრელიშვილისამ გლეხის როლი მღვდელთან საუბარში; ასე რომ მაყურებელნი ჩააფიქრა; ერთი სიტყვით ყველა მოთამაშე შეგირდები ისეთის აღფრთოვანებით და გაბედულად თამაშობდნენ, რომ შეუდარებელნი იყვნენ. ხალხი აღტაცებაში მოდიოდა. ბევრი, ბევრი მწარე ფიქრები ამეშალა მეც. ეჰ, რამდენი ძალა იღუპება ამ ოხერ სიბნელეში და ბეჩაობაში ყოფნით. ანტრაქტებში მოსწავლენი კითხულობდნენ ლექსებს და შეგირდების გუნდი გალობდა ზემოხვითის მასწავლებლის დათიკო ციცქიშვილის ლოტბარობით.

რამდენად ქვემო-ვითის სკოლის შეგირდებმა გამახარეს და დიდი იმედები აღმიძრეს ჩვენი ხალხის მომავალში, იმდენად ს. შინდისის სასწავლებლის შეგირდებმა გამიცრუეს იმედები. ს. შინდისში 200 კომლზე მეტია მცხოვრებლები, ინტელიგენტებიც ჰყავთ, მაგრამ სკოლა ისე არის დაყენებული, რომ 16 ბავში სწავლობს სკოლაში, ისინიც დამახინჯებულნი დ გადაგვარებულნი. ხალხი ამის მნახველი ბავშვებს არ აძლევენ სკოლაში. მეორე წერილში მოგახსენებთ სხვა სკოლების ავ კარგსაც.

დიდ ლიახველი.

ბორჯომის ხეობა

(წერილი წაღვერიდან).

თუ მკითხველი აკვირდება ხოლმე პროვინციიდან მოწერილ კორესპონდენციებს და თვალ-ყურს ადევნებს ჩვენი სოფლების ყოფა-ცხოვრებას, იგი ნათლად წარმოიდგენს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება სოფელი გაუნათლებლობისა და სიბნელისა გამო. ეს ითქმის საქართველოს თითქმის ყოველ სოფელზე. რაიცა შეეხება ბორჯომის ხეობაში მოსახლე გლეხობას მათი მდგომარეობა იმდენად შესაბრალისი და გულსაკლავია, რომ არ იქნება ქართველმა ინტელიგენტმა, რომელსაც ცოტად თუ ბევრად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის ბედ-იღბალი ამას ყურადღება არ მიაქციოს და ანგარიში არ გაუწიოს.

ყველას მოეხსენება რომ ბორჯომის ხეობაში გაშენებულ სოფლების უმეტესობა, რომელნიც მდებარეობით რკინის გზას არ არიან დაშორებულნი, სცხოვრობს მოაგარაკეთაგან ზაფხულში მოგროვილ ფულის წყალობით. ეს შეადგენს თითქმის ერთად-ერთ წყაროს მათ ცხოვრებისას, რადგან მთელი ბორჯომის ხეობის ნიადაგი ქირნახულის მოსავლისათვის ურგები და გამოუსადეგარია. ტყეც ძლიერ ცოტა შემოსავალს აძლევს გლეხს, რადგან ხეზე დადებული ბაჟი დიდია.

ამგვარად არსებობის სახსარ მოკლებული გლეხი რა თქმა უნდა მეტს წილად ანებებს სოფელს თავს და სამრეწველო ცენტრებში ეძებს სამუშაოს. ზამთრის განმავლობაში თითქმის გამუდმებულად სოფელს და ოჯახს მოშორებულს მას ვეღარ უფიქრია იმ საჭიროებაზე, რომელიც უნდა ეხებოდეს ოჯახის ზრუნვას და შვილების აღზრდას. აი, სწორედ ამ გარემოებით შეიძლება ავხსნათ ის მოვლენა, რომ ინტელიგენტურ ძალებს მოკლებული სოფელი ვერ იჩენს იმდენ თაოსნობას, რომ თვით გაუძღვეს თავის საერთო საჭიროებას და იზრუნოს აქ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მთელ ბორჯომის ხეობაში მდებარე სოფლებს თითქმის არც ერთ მათგანს არ მოეპოვება არამც თუ სკოლა, არამედ ეკლესიაც კი. ადგილობრივი ინტელიგენცია, რომელსაც რაიმე საერთო აქვს ხალხთან და ძალა-უნებურად უხდება მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა, არ არის გამსჭვალული იმ მისწრაფებით, რომელსაც საფუძვლად ხალხის საკეთილდღეოდ შრომა და მათში განათლება განვითარების შეტანა უნდა ედვას. უმეტესი ნაწილი ამ ინტელიგენციისა, თუ შეიძლება მათ ასე უწოდოთ, თავის შემადგენლობით ასე დაიყოფა: ბორჯომის ხეობის მამულების გამგე კანტორის მოხელენი, მღვდლები და რკინის გზის მოსამსახურენი. ყველა ესენი სცხოვრობენ თავის პირად განცალკევებულ ცხოვრებით: მათ ზრუნველობას არ შეადგენს ხალხში მუშაობა და მათდამი წრფელ სიყვარულთან ერთად ჩახლართული სულიერი მეგობრობა. მაგრამ აქ უფრო ყურადღებას იქცევს აქაური სამღვდელოება, რომელნიც თითქმის ყველანი იმ ეროვნებას ეკუთვნიან ვის გასანათლებლად და „სულიერ მამად“ არიან გამოგზავნილნი. ამიტომ ჩვენ უფრო საჭიროდ მიგვაჩნია მათი მოკლე დახასიათება მივაწოდოთ მკითხველ საზოგადოებას.

ამ თვის პირველს ბორჯომის ხეობის ირგვლივ აღმართულ მთების ერთ-ერთ მწვერვალზე გაშენებულ პატარ სოფელ „მზეთა-მზე“-ში მცხოვრებთა ხარჯით და თაოსნობით აშენებულ ეკლესიის კურთხევა იყო დანიშნული. კურთხევის დღე სადღესასწაულო დღეთ იქნა მიჩნეული აქაურ მცხოვრებთა შორის და ამიტომაც იყო რომ ბორჯომის ხეობის სხვა და სხვა კუთხიდან მრავლად მოაწყდა ხალხი ამ პატარა და კოხტა სოფელს. ეკლესიის კურთხევისათვის მოწვეული იყო ადგილობრივი დეკანოზი მღ. გორგაძე და სხვა და სხვა სოფლების სამი მღვდელი. თვით დავესწარი ამ ეკლესიის კურთხევას და უნდა მოგახსენოთ ჩემი გაკვირვება და აღშფოთება, როდესაც ეკლესიაში შესვლისას მომესმა რუსულ წირვა-ლოცვის და გალობის ხმა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ ყოველ ინტელიგენტ-მოაგარაკეთათვის, რომ ყველა ჩვენ იძულებული გავხდით ეკლესიისთვის თავი მიგვენებებინა და ჩვენი უკმაყოფილება მხოლოდ ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა. მართლაც, აბა დაუკვირდი მკითხველო იმ გარემოებას, რომ სადღაც თრიალეთის მთების ერთ მივარდნილ მწვერვალზე გაშენებულ ქართველთ პატარა სოფელში, იქ, სადაც რუსული ენა თითქმის არავის არ ესმის. წირვა-ლოცვა ქართველ მღვდელმსახურთა მეოხებით რუსულად სწარმოებს! ამაზე შორს ნუ თუ კიდევ შეიძლება წავიდეს იმ ადამიანთა გონებრივი სილატაკე, ზნეობრივი სიბეცე, რომელთაც აბარიათ ხალხის სულიერი [illegible]. სირცხვილი და თავსლაფ-დასხმა არ არის განა, რომ [illegible] გაბარებულ რუსული ხორო, „წმინდა მამებმა“ სამი თუმანი გაუბოძეს ხალხის მიერ წვითა და დაგვით შეგროვილ-შეკოწიწებულ თანხიდან! გორგაძეს თავისი მოსაზრება ჰქონდა როცა ქართველ გლეხებით გაჭედილ საყდარში „Господи помилуй“-ს ამბობდა.

საინტერესოა მოეხსენება თუ არა ქართველ სამღვდელოებას და თუ მოეხსენება, რად არ აცხადებს იგ, პროტესტს იმ მოძმეთა წინააღმდეგ რომელნიც, როგორც ბორჯომის ხეობაში, ისე საქართველოს პროვინციის იქნებ სხვა კუთხეებშიაც ასე თავ-გამოდებით იცავენ რუსულ წირვა-ლოცვას და ხალხს გადაგვარების გზაზე აყენებენ. ეს საკითხი იმდენად საჭირბოროტოა ჩვენთვის, რომ თუ მას დროზე ყურადღება არ მიექცა, შესაძლებელია არც ისე შორს იყოს ის დრო, როცა დეკანოზ მამა გორგაძის და ძმათა მისთა წყალობით ჩვენი სოფლების ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა მთლად მოისპოს.

დიახ! ამგვარი ხელმძღვანელნი და გულშემატკივარნი ჰყვანან ბორჯომის ხეობის მცხოვრებლებს და თუმცა იქნებ თვითვე გრძნობენ თავის დანაშაულობას ხალხისა და ქვეყნის წინაშე, მაინც განაგრძობენ ამგვარ მოღვაწეობას იმ ზოგიერთ პირთა გულის მოსაგებად, რომელთა მეგობრობა და განწყობილება მათ პირად ცხოვრებას უზრუნველ-ჰყოფს და წინ წასწევს. **შალვა ტ—ი.**

სხვა და სხვა ამბავი

ბურცევი და ბაკაი.

გაზ. „რულ“-ის პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება:

„პროვოკაციონურ საიდუმლოებათა გამომჟღავნებელ ბურცევსა და მის თანამშრომელ ბაკაის შორის, ამ ბოლო დროს, საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. გუშინდელი მეგობრები დღეს თავსლაფს ასხმენ ერთმანეთს, პირველი „ბუდუშჩეე“-ში, მეორე „პარიზის გაზეთ“-ში.

ბურცევმა ეჭვი აიღო, რომ ბაკაი რაღაც გამოურკვეველ გავლენას განიცდის და ამიტომ იგი ჰფიქრობს, რომ მისი მეგობარი კვლავ დაუახლოვდა დამცველთა წრეს. აქამდე ბურცევი ქოქმხით ლაპარაკობდა, ახლა კი მედგრად გაილაშქრა, რადგან თვით სოც.-რევოლუციონერთა ცენტრ. კომიტეტში გუშინდელ დამცველს და დღევანდელ ამხანაგს ბაკაის პიროვნებას უნდო თვალით უცქერიან. სოც.-რევ. ცენტრალურ კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ ევნო აზეფი ამას წინად ქრისტიანიაში იყო, სადაც რაღაც საქმისათვის მოვიდა ბაკაიცო. კომიტეტის ცნობით აზეფი და ბაკაი მეგობრულად ბაასობდენ და მუდამ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ იქ. ბაკაიმ ეს გარემოება დაუმალა ცენტრ. კომიტეტს და ამით საშუალება წაართვა აზეფის მოკვლისა. რაც კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ.

ამ რიგად ბაკაის წინააღმდეგ მეტად მძიმე ბრალდებაა წამოყენებული. მან განმარტება წარუდგინა კომიტეტს, რომლითაც უარჰყოფს თითქოს იგი რაიმე „მავნე“ დამოკიდებულებაში ყოფილიყოს აზეფთან, იგი მხოლოდ ქუჩაში შეხვდაო.

ნახევარი წლის წინად აზეფმა სოც. რევოლ. ცენტრალურ კომიტეტს წერილი მისწერა და სთხოვდა—მომისმინეთ და ისეთ ცნობებს მოგცემთ, რომ მათი მნიშვნელობა სრულიად გამოისყიდის ჩემს დანაშაულსაო. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ტერორისტული ორგანიზაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც თანახმა იყვნენ აზეფის წინადადებისა, მაგრამ ამ დროს რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა და საქმეც მიჩუმდა.

ამ დროს თურმე აზეფი მეტად ღარიბულად ცხოვრობდა, რადგან ნივთიერი დახმარება მოუსპეს და ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს მასთან.

ღვთის ანაბარად მიტოვებულმა, საშინელ სულიერ განწყობილებაში მყოფმა, გადასწყვიტა მნიშვნელოვან საქმეთა გამომჟღავნება და ამ სახით კვლავ რევოლუციონერებთან დაბრუნება. აზეფის წერილმა დიდად შეაშფოთა დამცველი წრეები, რომელთაც კარგად ესმოდათ, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც აზეფია, ბოლოს და ბოლოს შეიძლება მართლაც საშიშ პირად გადაიქცეს. როგორც ამბობენ, ღენერ. გერასიმოვი წავიდა საზღვარ გარედ და იქ მოახერხა აზეფის ნახვა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ აზეფმა შემდეგ შესწყვიტა სოციალ. რევოლუციონერებ-

---

იარებიან და მრავალ ჰანგოვნად იძახიან: „ცხოვრება მხოლოდ ტანჯვა არისო“ — ამგვარ ხალხს ბრძენმა ასე უნდა უპასუხოს: „რაღას უყურებ, ისე მოიქეც, რომ ხმა ჩაიკმინდო! ეცადე, ეს ტანჯვით აღსავსე ცხოვრება შენთვის ჩაჩუმდეს. დაე, ჰღაღადებდეს კანონი თქვენის სათნოებისა: მოიკალ თავი, შენის ნებით გამოჰგლიჯე ცხოვრებას აკი შენი!“

ყოვლად შეუძლებელია, ცხოვრება რაღაც საავადმყოფოდ გარდაიქცეს, ცხოვრება აღივსოს ავადმყოფებით და სასოწარკვეთილებით, ხოლო ჯანსაღნი მათის შებრალებით თუ ზიზღით მათ შორის სულსა ღლევდნენ. ვეცადოთ მომავალი თაობა გავანთავისუფლოთ ამგვარ დამამცირებელ ცხოვრების სანახაობიდგან, ამგვარ უბედურობისა და საზიზღროებიდან: მივცეთ სიკვდილს ნება რათა მოაკვდინოს, ვინც უკვე სიკვდილისთვის მომწიფებულა. რისათვის შევიკავოთ, ვინც უკვე დამხობისკენ არის დაქანებული? პირიქით, ვიქონიოთ იმდენი სულიერი ძალა, ხელი ვკრათ, ვინც წასაქცევად მომზადებულა დავაჩქაროთ მათი დამხობა.

ბრძენმა თავი უნდა განიწრთვნას, რათა დარჩეს შეურყეველი და მტკიცე: იგი არავითარ შებრალებას არ უნდა ჰგრძნობდეს, როდესაც თვითონ სხვას ტანჯვას აყენებს—მსგავსად ქირურგისა, რომელიც რწმენით აღსავსე დანას ატრიალებს ავადმყოფის სხეულში, ხოლო თავს კი ნებას არ აძლევს შეკრთეს იმ ტკივილისგან, რომელსაც ავადმყოფი განიცდის. აი, სწორედ აქ არის სულის სიძლიერე. „იმან როგორ უნდა მიაღწიოს რომელსამე მწვერვალს — ამბობს ნიცშე—ვინც არა ჰგრძნობს საკმარის ძალას, საკმარის ნებას, რათა შეიძლოს დიდებულ ტანჯვის მიყენება? იტანჯო—ეს არა კმარა: ამ ხელოვნების მწვერვალს სუსტი ქალები და მონები ხელოვნურად აღწევენ. იმ დროს არ დაიღუპო ღრმა ტანჯვისგან და საკუთარ თავის ურწმუნოებისგან, როდესაც სხვას აყენებ დიდებულ ტკივილს და თან გესმის კვნესა ამ ტკივილისა. აი, ეს არის დიდებული, აი ეს არის ღირსება დიდებულისა.

დასასრულ ბრძენმა ერთი რამ უნდა ისწავლოს. მან უნდა გამოიჩინოს, გამამხნევებელი გუნება ბედნიერ მოთამაშისა, მხიარული უმანკოება დაუდეგარ, მოუსვენარ ბავშვისა და მიმზიდველი აღტაცება მოცეკვავისა.

ნიცშე ასწავლის: ადამიანის სულმა აქლემს უნდა მიჰბაძოს, რომელიც მორჩილად ჩოქზე სდგება, ზურგზე აუარებელ ტვირთს იღებს და ყოველ განსაცდელს უდრტვინველად იტანს. ასეთ მდგომარეობიდან სული მრავლად განწრთვნილი გამოდის; შემდეგ კი ლომს უნდა მიემსგავსოს, რომელიც ამბობს: „მსურს“ და ერთის თათის დაკვრით ანადგურებს მას, ვინც კი თავისუფლების შეზღუდვას მოისურვებს. ამ დროს მან უნდა დაამარცხოს ის ვეშაპი, რომელსაც სახელად „მოვალე ხარ“ ჰქვიან, რომელიც ოქრო-ვერცხლში ბრწყინავს და ვისი ტყავიც რომელსამე საუკუნის ღირებულებით ლაპლაპებს. სხვანაირად რომ ვსთქვათ: აუცილებლად უნდა მოიხსნა უღელი თუ მონება იდეალებისა, უღელი სიმართლისა და სიკეთისა, რომლის ზიდვაც უწინ მეტად სასიამოვნო იყო. შემდეგ სულს ენიჭება შეძლება შემოქმედებისა, ამ დროს სთრგუნავს ძველს ღირებულებას და მის ადგილზე ჰქმნის ახალს—ეს ჰხდება მაშინ, როდეს სული დაუდეგარ ბავშვს ემსგავსება.

ბავშვი—ეს არის უმანკოება, ეს არის დავიწყება და ახლად დაწყება, ეს არის თამაში და თავისთავად მბრუნავი ჩარხი, პირველდაწყებითი მოძრაობა.

ვისაც ჰსურს სიბრძნის მაღალს მწვერვალს მიაღწიოს, მან უმანკოებით აღვსილმა უნდა ისწავლოს თამაში და მხიარული სიმკვირცხლე. მსგავსად ბავშვისა, მისი სული უნდა იქმნეს უზრუნველი და მსუბუქი, უნდა დაამარცხოს „სული სიმძიმისა“. უნდა დაივიწყოს სევდა და სასოწარკვეთილება, უნდა გადაეჩვიოს ტრაგიკულს პოზას და მოსაწყენ დარბაისლობას.

„ვაი მოცინართ!“ ღაღადებს ძველი კანონი და მცნება. ნიცშეს აზრით კი ეს საკუთარ თავის დიდი მასხარად აგდებაა, დიდი დანაშაულია. პირიქით, ბრძენი ღვთაებრივ სიცილს უნდა მიეჩვიოს. დაე, როდესაც იგი თავის მიზანს უახლოვდება, მიუახლოვდეს არა მძიმე ნაბიჯით, თითქოს არცკი ჰსურდეს მისვლა, არამედ მიუახლოვდეს „ცეკვით“ და „ფრენით“ თუ კი ძალუძს სიცილი, იგი უბედურ დღეს საკუთარ თავისთვის სანუგეშოს ჰპოვებს. თუ კი იცის ცეკვა და ფრენა, იგი მხიარულად და შეუპოვრად, ვითა გრიგალი, გარდაიქროლებს „ქაობს მძიმე სევდისას“.

ა. შანშიაშვილი.

თან ყოველი დამოკიდებულება. ალბად მათ შორის მოხდა სრულიად გარკვეული შეთანხმება“. („რულ.“).

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

6 ივლისი.

ოსმალეთის სამინისტრო.

სტამბოლი. ლონდონში მყოფს ელჩს თევფიკ-ფაშას დიდი ვეზირობა შესთავაზეს. ახალ კაბინეთის შედგენამდე დიდი ვეზირის თანამდებობას აასრულებს ასიმ-ბეი.

ალბანეთის აჯანყება.

პრიზრენი. ალბანელებს ჩამოუხრჩვიათ ბატალიონის უფროსი, გენერალურ შტაბის მაიორი, იგი ამას წინად არნაუტებს ჩაუგდიათ ტყვედ სამ სხვა აფიცერთან ერთად. ეს სამი აფიცერი ისევ ტყვედ არიან.

ალბანელებმა ქალაქ ლუმის მახლობლად პრიზრენ-სკუტარის გზის მუშები გარეკეს და მათ მცველ 40 ჯარისკაცს იარაღი აჰყარეს.

დიაკოვო. ადგილობრივი გარნიზონის 30 აფიცერი აჯანყებულთა ბანაკში მოვიდა და შეატყობინა, მთავრობა ყველა მოთხოვნილებას აგისრულებთ, გარდა ერთისა—ალბანეთს ვერ მიანიჭებს ავტონომიასაო.

რეშიდ-ულმულკი.

სპარსელთა რაზმი რეშიდ-ულმულკისა არდებილიდან სუმარინს წავიდა. სუმარინს რუსები არიან და ერთად უნდა იმოქმედონ შაჰსევენების წინააღმდეგ.

იაპონიის ვითარება.

ტოკიო. სასახლეში გაიმართა სხდომა საიდუმლო საბჭოსი, იმპერატორის თავმჯდომარეობით, მინისტრებისა და ფელდმარშალის იამაგატს თანადასწრებით. პრემიერმა საიონზიმ და ვიკონტმა უციდამ ბევრი ილაპარაკეს იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობის გამო და განსაკუთრებით ჩინეთისადმი ურთიერთობის თაობაზე.

იტალია.

რომი. პარლამენტის წევრებში ხმა დავარდნილა, ამ მოკლე დროებში შეიძლება ეგეის ზღვაზე სამხედრო მოქმედება დავიწყოთო. ამბობენ, დღევანდელ სხდომას მინისტრებისას და ჯიოლიტის საბჭოსას შეიძლება ბრძოლის ველზე მოქმედების გაძლიერება მოჰყვესო.

რუსეთი

რედაქტორის სამართალში მიცემა.

პეტერბურგი. „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორი პეტროვი სამართალში მისცეს 1034 მუხლის მესამე პუნქტის ძალით 3 ივლისის ნომერში დაბეჭდილ წერილებისა გამო.

ფულის გადადება.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს საბიუჯეტო წესდების მე-17 მუხლის ძალით სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირის მოსამატებლად 2795000 მანეთი გადასდო.

ლენის მუშები.

ბოდაიბო. 4 ივლისს ბოდაიბოდან, გუბერნატორის თანადასწრებით, სრულის წესრიგით გავიდა ლენის ამხანაგობის მუშების პირველი პარტია, სულ, ოჯახებიანად 700 კაცამდე. სენატორი მანუხინი ამ დღეებში გამოსაძიებლად ირკუტსკში მიდის.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა სამზადის მომავალ სეზონისათვის. ამ ჟამად იმის ცდაშია, რომ დასი გამოცდილ და ნიჭიერ მსახიობთაგან შეადგინოს. როგორც ვიცით მას უნდა დასის ხელმძღვანელად ისევ ბ. ქორიძე მოიწვიოს; გამგეობას განზრახვა აქვს აგრეთვე რეპერტუარი თანამედროვე პიესებით შეავსოს დეკორაციები გააუმჯობესოს და სხვა.

ხონი. 29 ივნისს, ქ. ქ. ნ. დავითაშვილის ლ. ლოლობერიძის; ბ. ბ. ნ. გვარაძის, კ. მაჭარაშვილის, შ. ხონელის მონაწილეობით და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ქრისტინე“ დრ. 4 მოქ., შინაარსი პიესისა, როგორც ვიცით გურულების ცხოვრებიდან არის აღებული. გურული მომქმედი პირები ხონის სცენაზე იმერულ კილოზე ლაპარაკობდნენ, რაიც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ხალხში. დავითაშვილის ქალი, ქრისტინეს როლში, ბაძავდა გურულს ლაპარაკში, მაგრამ მას გურული კილო კი სავსებით არ ჰქონდა დაცული. სხვა მხრივ ხსენებულმა ქალბატონმა თავისი როლი ჩინებულად ჩაატარა. კარგები იყვნენ აგრეთვე კ. მაჭარაშვილი, შ. ხონელი, ნ. გვარაძე და ქ-ნი აგ. ბახტაძე. პირველი დავითის, მეორე იასონის, მესამე მედუქნის და უკანასკნელი სონას როლში. პიესამ საერთოდ კარგად ჩაიარა. ნამეტურ ცოცხლად ჩატარდა მე-4 და მე-2 მოქმედება.

1 ივლისს, სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს მხიარული კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერმე დაქორწილდნენ“ და ვოდევილი „ადვოკატთან“. წარმოდგენამ კარგად ჩაირა, ყველა კარგად თამაშობდა თავის როლს. ხალხი მიუხედავად იაფ-ფასებისა, წარმოდგენას მაინც ცოტა დაესწრო.

8 ივლისს, გაიმართება წარმოდგენა. წარმოადგენენ „უპატიოსნონი არ იბადებიან“ და ერთ ვოდევილს.

გან—მანი.

დ. ოჩემჩირე. 10 ივნისს, დ. ოჩემჩირეში, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ქ. მ. ჩაჩავას ხელმძღვანელობით გამართულ იქმნა წარმოდგენა, რომლის შემოსავალის დანიშნულება იყო „ბიბლიოთეკის ფონდის“ გაძლიერება. წარმოდგენიდან დარჩა წმინდა შემოსავალი ცხრა თუმანი, რომელიც შეტანილ იქნა ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კასაში.

დ. შავგულიძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული დაბა ონში გავმართე სამი წარმოდგენა და სამივეზე ბევრი ხალხი დაესწრო, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავ დ. ონის საზოგადოებას ასეთ გულთბილ შეხვედრისათვის. განსაკუთრებით სცენის მოყვარეებს რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენებში- ნინო ლობჟანიძეს, ჯიუ გელოვანს, ვანო ჯაფარიძეს, ალ. ბაქრაძეს, გრიგოლ მახარაძეს, დავით ჯაფარიძეს, და ვანო იაშვილს. და აგრეთვე **ვიქტორ ელიავას** და **ან. ჯანუაშვილს**, რომლებმაც არ დაიზარეს და რითაც შეეძლოთ დახმარება აღმომიჩინეს. დიდ მადლობას ვწირავ საზოგადო საკრებულოს მამასახლისებს, რომლებმაც დამითმეს ოთახი და თეატრი შეღავათიან პირობებში.

ქართველი მსახიობი ი. ზარდალიშვილი.

ღრმად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენი პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში; ჩვენ, „კურსკი პოლკის“ ას-ოც. და ხუთი ქვეითა ჯარის მეგრელ ჯარის-კაცებს დიდად სამწუხარო და სამგლოვიარო ამბავი მოგვიტანა გაზეთმა. ქართველ ხალხის მამის, სასიქადულო პედაგოგის, **იაკობ სვიმ. გოგებაშვილის** გარდაცვალებისა. ჩვენს გლოვას და მწუხარებას საზღვარი არა აქვს.

გადავსწყვიტეთ მოგვეგროვებინა ჩვენი ღარიბ ჯიბიდან ნიშნისა და პატივცემისა შეძლებისადაგვარად განსვენებულ „იაკობის ფონდის“ სასარგებლოდ.

შემოწირულებათა სია: ერასტო კაჭარავა 30 კ., იასონ ჩხეიძე 25 კ., ისაკი თოფურიძემ 25 კ., დომენტი ალფენიძემ 25 კ., რაჟდენ გახოკიძემ 50 კ., ერასტო ქავთარაძემ 20 კ., გრიშა ხუბულავამ 40 კ. თითო აბაზი: მიხა გვილიამ, ერასტო ქადარიამ, ივანე კვანტალიანმა, ბათუ თოფურიძემ, ვლადიმერ კუპრეიშვილმა, პავლე კორთხონჯიამ, პეტრე ბაძაღუა 15 კ., ივანე ქოიავამ 15 კ., ალექსანდრე ხოშტარიამ 15 კ., მალაქია კვარცხალიამ 15 კ., ტიმოთე ხვიტიამ 15 კ., ალექსანდრე ბაძაღუამ 15 კ., ვლადიმერ გუნიამ 15 კ., ათანასე ფარცვანიამ 10 კ., ევთიმე ქარდავამ 10 კ., გიორგი მირცხულავამ 10 კ., სპირიდონ ბაძაღუამ 10 კ., რაჟდენ გუგუნავამ 20 კ. სულ 5 მანეთი.

ბატონო რედაქტორო, ამ წერილთან ერთად გაახლებთ ამ ხუთ მანეთს ფულსა და უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული გარდასცეთ ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებას განსვენებულ ჩვენი მასწავლებლის ძეგლის სასარგებლოდ.

დავშთები მარადის თქვენი პატივის მცემელი **ერასტო დავითის ძე კაჭარავა.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

გაფრთხილებით უფრო ადვილია სნეულების აცილება, ვიდრე მისი მორჩენა. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინცა სცხოვრობს გადამდებ სნეულებიან ადგილას: (ხოლერა, სახადი, ყვავილი და სხვა). გადამდებ სენისა და ეპიდემიურ ავადმყოფობათა ასაცილებლად, როგორც ნაცადია, საუკეთესო საშუალება სიფაქიზეა.

აუცილებლად საჭიროა, ყოველთვის პურის ჭამის წინ არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც გაიკეთოთ. ამისთვის კი განსაკუთრებით კარგია გადამდებ სენის მოდების წინააღმდეგ საგანგებოდ დამზადებული **„№ 4711 სამკურნალო საპონი“** № 4711 Медицинскія мыла“.

როგორ უნდა იხმაროთ, ეს აწერილია (რუსულად და გერმანულად) საპნის გასახვევ ქაღალდზე.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონი“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია), „№ 4711 მდოგვის საპონი“ და № 4711 სულემას საპონი“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში, თითო ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს, ყურადღება მიაქციეთ, ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს იქნება თავდები, რომ საპონი კარგის ღირსებისაა. Метцль 184053. (4.1218.3)

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის,

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ, 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 12 ს. გემი ვ. კ. „ქსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პ ი რ დ ა პ ი რ ი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტ ფ ი ლ ი ს შ ი ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობით და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად, 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დე[illegible]თა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მსხვით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან, ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.
(0—1253—7)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მუღლინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. პეტროსიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. პეტროსიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**
(წ. 1074.95)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი
წ ა მ ა ლ ი
„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая. № 7 аптека Г. Конгеима. იგზავნება ფოსტით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნაღდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
(წ. 1161.15)

სნეულნო!
უფრთხილდით [illegible]!

რადგანაც „**სპერმინის**“ იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოჰოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს, მხოლოდ „სპერმინ - პელა“ აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:
სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მაღამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა უღირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.

Органотерапевтическій Институтъ
Профессоръ Д-ръ Пель и С-вья
Поставщики Двора
Его Императорск. Величества
С.Петербургъ
В. О. 7 линія 18.
Органотерапевтическій Институтъ Профессора Д-ра Пеля съ Сыновьями С.Петербургъ
ESSENTIA
SPERMINI-POEHL
TONICUM PHYSIOLOGICUM
ST PETERSBOURG RUSSIE
Prof. DR. DE POEHL

Метцль. № 68398. (12.1208.10)

არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.

ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ნივთს: 1. მშვენიერ მკვიდრ უბის საათს კაცთათვის — „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-ფოლადისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალი აქვს, 15 ქვიანია, 2. ქალთ. საუცხოვო ყელის ძეწკვი. ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი - კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამშის ბუდე საათისათვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის თვლით. 6. სათეატრო ბინოკლი 4 ახრამტიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან ახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმყოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9—14 ექვსი მეტის-მეტად საგულისხმო სურათი. სულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება — 0 მ. 50 კ. ეს ნივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს**. ხსენებული წყება საათისა და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ. (ციმბირში 75 კ.) საათს ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ. მ ი ს ა მ ა რ თ ი:

И. ШТРУМФЕЛЬДЪ ВАРШАВА, ЭЛЕКТОРАЛЬНАЯ 11. ОТД. 1/6.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 36443. (6.1337.4)

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.8)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფ: ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიშო, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. [illegible] კირტუმოვი.**
(თ. 1037.74)

გამოცდილ მასწავლებელ ქალვაჟთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს პედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საფებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად**, აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

მიმართეთ: 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კალიუჟნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—12 5—18

ბარი „ბ ა ღ ი ე დ ე მ ი“.
საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი“.** საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ალაგობრივი და საზღვარგარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული ვკისრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას. ყოველ დღე არის **„ცოცხალი თევზი“.** დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც.
ტელეფ. № 295. პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.**
(1314.15)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.
ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრეთვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი და ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები.

(წ.1131.200)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა 12, სტამბა „შრომა“.